სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/342

ქ. თბილისი

5 ნოემბერი 2019

სტუ-ის დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 5 ნოემბრის №01-05-02/23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. **სამშენებლო ფაკულტეტის** მშენებლობის სადოქტორო პროგრამის სწავლების მეხუთე სემესტრის დოქტორანტ **რევაზ სიხარულიძეს** დაემატოს თანახელმძღვანელი, ემერიტუსი რ.მახვილაძე პროფ. მ. ბაქრაძესთან ერთად.
2. **ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის** ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის სწავლების მეხუთე სემესტრის დოქტორანტ **სალომე ბარბაქაძეს** დაემატოს თანახელმძღვანელი, ბ.მ.დ. ი. ჭყონია (გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი) პროფ. თ. ბუაჩიძესთან ერთად;

   სწავლების მეექვსე სემესტრის დოქტორანტ **თეა ზაკალაშვილს** დაემატოს თანახელმძღვანელი, სტუ-ის მოწვ. ასოც. პროფ. ს. კობაური პროფ. ნ. ბოკუჩავასთან ერთად.
3. **სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის** საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის სწავლების მესამე წლის დოქტორანტ **თეა ბოწენიძეს** შეეცვალოს თანახელმძღვანელი, პროფესორ შ. ფაფიაშვილის ნაცვლად დაუმტკიცდეს პროფესორი ა. სონღულაშვილი.

   სწავლების მესამე წლის დოქტორანტ **მარინა გლოველს** შეეცვალოს ხელმძღვანელი, ასოც. პროფესორ თ. ამნიაშვილის ნაცვლად პროფესორი ავ. სონღულაშვილი.

4. **ინფორმატიკისა და მართვის სისტემების** ფაკულტეტის მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის სადოქტორო პროგრამის მეხუთე სემესტრის დოქტორანტ **ოთარ კემულარიას** შეეცვალოს სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფ. თ. ობგაძის ნაცვლად დაუმტკიცდეს პროფ. ნ. ნარიმანაშვილი;
ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამის მეხუთე სემესტრის დოქტორანტ **ნატალი სიდამონიძეს** შეეცვალოს სადისერტაციო თემის ერთ-ერთი თანახელმძღვანელი, პროფ. ა კორახაშვილის ნაცვლად დაუმტკიცდეს პროფ. გ. კვესიტაძე (აგრარული უნივერსიტეტი) პროფ. ა.ბენაშვილთან ერთად.
5. **საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის** ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის მესამე წლის (მეხუთე სემესტრი) დოქტორანტ **ირმა ტაბატაძეს** სადისერტაციო თემის ხელმძღვანელად, პროფ. მ. ლომთაძის ნაცვლად დაენიშნოს პროფ. ნ. ჩიკვილაძე.
6. **ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის** საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის მესამე წლის დოქტორანტ **ელენე ცხვარიაშვილს** დაუმტკიცდეს სამეცნიერო ხელმძღვანელად, ასოც. პროფ. თ. რევაზიშვილი, ასოც. პროფ. ა. ჩაფიჩაძის ნაცვლად;
სწავლების მესამე წლის დოქტორანტ **გიორგი გარსევანიშვილს** დაუმტკიცდეს სამეცნიერო ხელმძღვანელად, პროფ. გ.ბაღათურია, პროფ. რ. ოთინაშვილის ნაცვლად.
7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**